ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის გოჩა კილაძის
2016 წელს გაწეული მუშაობის შესახებ
ანგარიში

ჩემო თანასოფლელებო, ამომრჩველებო, ანგარიშვალდებულება თქვენს წინაშე, საჯაროობის პრინციპი და პასუხიმგებლობის დიდი გრძნობა მავალდებულებს, ანგარიში ჩაგაბროთ 2016 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ. ეს ვალდებულება, რომელიც საკრებულოს თითოეული წევრისათვის რეგლამენტით არის განსაზღვრული, სწორედ რომ ზრდის საქმიანობის გამჭვირვალობის ხარისხს და მიმართულია თქვენი, ამომრჩველების მეტი ინფორმირებულობისკენ.

შეგახსენებთ, რომ 2014 წლის თვითმმართველობის არჩევნებში, თქვენი ნდობითა და მხარდაჭერით მე გავხდი საკრებულოს წევრი და ამავე წლის 2 აგვისტოდან შევუდექი ჩემი, როგორც საკრებულოს წევრის, და შემდგომ უკვე ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო"-ს თავმჯდომარის უფლება-მოვალეობების შესრულებას.

გასული წლის დასაწყისში თქვენ მოისმინეთ 2015 წელს გაწული საქმიანობის შესახებ შემაჯამებელი ანგარიში, დღეს კი მსურს გესაუბროთ თუ რისი გაკეთება შევძელით 2016 წელს და რა გვაქვს დაგეგმილი სამომავლოდ. მზად ვარ კიდევ ერთხელ მოვისმინო ყველა ის შენიშვნა და შეკითხვა, რაც ჩემს თანასოფლელებს აწუხებს და სტკივა.

მოგახსენებთ, რომ საანგარიშო პერიოდში სულ გაიმართა საკრებულოს 22 სხდომა, თქვნი ინტერესები და საჭიროებები, რომელთა გათვალისწინება ჩვენი მუშაობის ძირითად სამოქმედო ამოცანას წარმოადგენს, 73 განკარგულებასა და 28 დადგენილებაში აისახა. თითოეული სამართლებრივი აქტის პროექტის განხილვისას მაქსიმალურად ვცდილობდით, გადაწყვეტილებები მიგვეღო მოსახლეობის სასარგებლოდ.

გარდა თქვენი დიდი ნდობისა,როგოც ზემოთ მოგახსენეთ, საკრებულოში მაკისრია ძალიან დიდი მისია, რასაც ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო"-ს თავმჯდომარეობა ქვია. ამ მნიშვნელოვანი პოზიციის მიუხედავად, არცერთი წამით არ დავცილებულვარ და დავშორებულვარ ყველა იმ პრობლემას, რაც თითოეულ ჩემს სილაურელს აწუხებს, ამიტომაც ბევრი კოლეგა მსაყვედურობს, რომ ვარ მიკერძოებული, ხანდახან საკითხებზე მსჯელობისას არ ვარ ობიქტური და ვარ სუბიექტური, თუმცა გავამხელ, რომ ზუსტად ამ ჩემმა სუბიექტურმა მიდგომებმა და ჩემმა კოლეგებში ავტორიტეტმა შემაძლებინა, რომ ღირსეულად ვყოფილიყავი გამარჯვებული პარტიის ფრაქციის თავმჯდომარე და არასოდეს ჩემს ფრაქციას არ მიუღია თითოეული ჩემი ოზურგეთელის საწინააღმდეგო გადაწყვეტილება.

შეიძლება ითქვას სილაურში გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია და ამაზე არც არავის არ ვეკამათები, მაგრამ შემიძლია სიამაყით ვთქვა, რომ როდესაც ვიხილავდით 2016 წლის ბიუჯეტს, პირველი რასაც მხარი დავუჭირე, არის ის, რომ N1 პრიორიტეტი ყოფილიყო ინფრასტრუქტურა.

ამ მიმართულებით სოფელ სილაურში შემდეგი სამუშაოები განხორციელდა:

დაიგო რკინა-ბეტონის გზები ე.წ. ძეგორისა და მე-5 ბრიგადის უბნებში;

მოხდა მდინარის გასწორხაზოვნება და ჩატრადა ნაპირ-სამაგრი სამუშაოები;

სხვდსხვა უბნებში გზების მოხრეშვით სამუშაოები;

სტიქიის სალიკვიდაციო პროგარმიდან საშენი და სახურავის მასალით უზრუნველყოფილი იქნა 2 ოჯახი;

სოფელში დასრულდა ინდივიადულური ელექტო გამრიცხველიანება, შეიცვალა ამორტიზირებული ელექტრო ბოძები.

ჩვენ მოვახერხებთ და წელს მოხდება სოფლის ცენტრალური გზის რებილიტაცია, ხოლო სამომვალოდ დაგეგმილია გზის სრული მოასფალტება.

ასევე კარგად მაქვს გათვითცნობიერებული, რომ განათლებული მომავალი თაობის გარეშე არამარტო სილაურის, არამედ ქვეყნის განვითარებაზე საუბარი ზედმეტია, N2 პრიორიტეტად განათლება გამოყო. ზუსტად ამის გამო მუნიციპალიტეტში გვაქვს 5 ახალი თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი საბავშო ბაღი. დღეს თითოეული ჩემი თანასოფლელის ბავშვი დადის კომფორტულად მოწყობილ ბაღში, იღებს ეკოლოგიურად სუფთა საკვებს და ყველა მისი მშობელი უსაფრთხოდ გრძნობს თავს.

როგორ შემეძლო ამდენი ჩემი თანასოფლელის გაჭირვების შემხედვარე, როცა ვხედავ რომ მათ არ აქვთ წამლის ფული, რომ არ აქვთ საშუალება ექიმთან მისვლის,ერთ-ერთ პრიორიტეტად ბიუჯეტში არ გაგვეთვალისწინებინა სოციალური პროგრამები ამ მიმართულებით სილაურში:

მოქალაქეთა მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამიდან დაფინანსდა 20 მოქალაქე;

პროგრამიდან ლეიკემია-ონკოლოგია - 2;

დიალეზის პროგრამიდან - 1 მოქალაქეს გაეწია დახმარება.

გამგებლის სარზერვო ფონდიდან, სხვდსხვა სამედიცინო საჭიროებისამებრ გაიცა 16 ადამიანზე შესაბამისი დახმარება.

რაც არ უნდა გულანთებული ვიყო მე ჩემი სოფლისათვის, ვერაფრის გაკეთებას ვერ შევძლებდი ვერც წარსულში და ვერ მომავალში, რომ არა ჩემი მეგობრები და კოლეგები საკრებულოში, ასევე ჩემი თანამებრძოლის და მეგობრის ბატონ დავით დაჩიას ხელმძღვანელობით, რისთვისაც მინდა დიდი მადლობა ვუთხრა თითოეულ მათგანს და მადლიერი ვიყო მათი.

და ყველაზე მთავარი, რაც მინდა დაგპირდეთ და გითხრათ, მე, გოჩა კილაძე არასოდეს გავექცევი არცერთი ჩემი თანასოფლელის პრობლემებს, არასოდეს გავუცხოვდები ჩემს მშობლიურ ხალხს და არასოდეს ჩემს გუნდთან ერთად არ გავცემ ცრუ დაპირებებს. ჩვენ ვაგრძლებთ მუშაობას, და ვიმედოვნებ, მომავალში უფრო მრავლისმომცველი ანგარიშით წარვსდგები თაქვენს წინაშე.

საკრებულოს წევრი : გოჩა კილაძე